

**გამოყენების ინსტრუქცია**  
**ჰიდროკორტიზონი**  
**Hydrocortisone**  
**0,5% თვალის მალამო**

**პრეპარატის საეჭრო დასახელება** - ჰიდროკორტიზონი  
**პრეპარატის საერთაშორისო დასახელება** - ჰიდროკორტიზონი (Hydrocortisone)

**ზოგადი დახასიათება**  
**ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები**  
თეთრი ან თითქმის თეთრი, გამჭვირვალე ცხიმოვანი მასა მალამოს საფუძვლის სუსტი სუნით.

**შემადგენლობა**  
**ჰიდროკორტიზონის**, 0,5% თვალის მალამო, ყოველი გრამი შეიცავს:  
**აქტიურ ნივთიერებას:** ჰიდროკორტიზონის აცეტატს - 5 მგ-ს;  
**დამხმარე ნივთიერებებს:** მეთილპარაბენს - 2 მგ-ს; თვალის სამედიცინო ვაზელინს 1000მგ-მდე.

**ფარმაკოლოგიური ჯგუფი და ათქ კოდი**  
გლუკოკორტიკოიდები. S01BA02.

**ფარმაკოლოგიური თვისებები**  
ჰიდროკორტიზონი - გლუკოკორტიკოსტეროიდი. ახდენს ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიულ, ქაილის და შეშუპების საწინააღმდეგო მოქმედებას. ახდენს უჯრედული და სუბუჯრედული მემბრანების, მათ შორის პოხიერი უჯრედების და ლიზოსომური მემბრანების სტაბილიზირებას. ანელებს ალტერაციის ფაზას და ამცირებს ანთებით უჯრედულ ინფილტრატებს, ამცირებს ანთების უბანში ლეიკოციტების და ლიმფოციტების მიგრაციას. ამცირებს იმუნოგლობულინების შეკავშირებას რეცეპტორებთან უჯრედების ზედაპირზე და ამუხრუჭებს ციტოკინების (ინტერლეკინების და ინტერფერონის) სინთეზს და გამოთავისუფლებას ლიმფოციტებიდან და მაკროფაგებიდან. ამცირებს არაქილონის მუავას გამოთავისუფლებას ფოსფოლიპიდებიდან და მისი მეტაბოლიტების (პროსტოგლანდინების, ლეიკოტრიენების, თრომბოქსანის) სინთეზს. ამცირებს ექსუდაციურ რეაქციას, ხელს უწყობს კაპილარების შეღწევადადობის შემცირებას.

**ფარმაკოკინეტიკა**  
ჰიდროკორტიზონი ცუდად აღწევს რქოვანას გავლით თვალში და სითხეში. ჰიდროკორტიზონი აღწევს ლორწოვანი გარსის ეპითელიუმში და ეპიდერმისში, უმნიშვნელო რაოდენობით შეიწოვება სისხლის მიმოქცევაში. ლორწოვანი გარსიდან შეწოვილი ჰიდროკორტიზონი მეტაბოლიზდება უშუალოდ ლორწოვანის ეპითელიუმში და ეპიდერმისში, შემდეგ კი მისი უმნიშვნელო რაოდენობა საერთო სისხლის მიმოქცევაში აბსორბციის შემდეგ - ბიოტრანსფორმირდება ღვიძლში. სისხლში 80% უკავშირდება ტრანსკორტინს და 10% ალბუმინს. მეტაბოლიტების სახით და მცირე რაოდენობით უცვლელი სახით გამოიყოფა შარდით და მცირე რაოდენობით ნაღველით. ჰიდროკორტიზონის შეწოვა ლორწოვანი გარსებიდან სისტემურ სისხლის მიმოქცევაში ბავშვებში უფრო გამოხატულია, ვიდრე მოზრდილებში.

**გამოყენების ჩვენება**  
-თვალის და ქუთუთოების კიდების ალერგიული დაავადებები.  
-თვალის სისხლძარღვოვანი გარსის, რქოვანას, სკლერისა და თვალის კონიუქტივის ანთებითი დაავადებები.  
-ასეპტიკური დამწვრობა (ქიმიური, თერმული ან გამოსხივებით გამოწვეული).  
-მდგომარეობა ტრამვის ან თვალის კაკალზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ (ოპერაციის ან ტრამვის შემდეგ არაუადრეს 7 დღისა).  
გამოიყენება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით გართულებების პროფილაქტიკის მიზნით.

**გამოყენების წესი და დოზირება**  
მალამოს მცირე რაოდენობა იღება ქვედა კონიუქტივალურ პარკში 2-3 ჯერ დღეში არაუმეტეს 2 კვირის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში თერაპიის ეფექტურობის კლინიკური შეფასების შემდეგ პრეპარატის გამოყენება შეიძლება იქნას გაგრძელებული. პოსტტრავმატული მდგომარეობების დროს პრეპარატს ნიშნავენ 1-2 ჯერ არაუადრეს 7 დღისა ტრავმის ან ოპერაციის შემდეგ.

**გვერდითი რეაქციები**  
**ადგილობრივი რეაქციები:** რქოვანას ეპითელის დეფექტების შესორცების შეფერხება თვალის უფრო დრმა ნაწილის ინფიცირების შესაძლებლობით (რქოვანას ეპითელის მთლიანობის დარღვევის დროს გამოყენების შემთხვევაში); თვალის ინფექციური დაავადებების გავრცელება; განსაკუთრებით ვირუსული; შესაძლებელია გლაუკომის

განვითარება (3-6 კვირაზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოყენება, განსაკუთრებით მიდრეკილების მქონე პაციენტებში), კატარაქტის განვითარება (მკურნალობის მრავალწლიანი განმეორებითი კურსების შემთხვევაში).

**სისტემური რეაქციები:** მცირეწლოვან ბავშვებში პრეპარატის გამოყენების სისხლის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია გლუკოკორტიკოსტეროიდებისათვის დამახასიათებელი სისტემური რეაქციების განვითარება. **ჰიდროკორტიზონის** სანგრძლივი უწყვეტი გამოყენებისას შესაძლებელია ჰიპოფიზის და თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ფუნქციის დათრგუნვა.

**უკუშვებები**  
-ინდივიდუალური მომატებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.  
-თვალის ჩირქოვანი, ვირუსული, ტუბერკულოზური და სოკოვანი დაავადებები.  
-პირველადი გლაუკომა.  
-რქოვანას ეპითელის დეფექტები.  
-ვაჭვინაციის პერიოდი.  
-1 წლამდე საბავშვო ასაკი.

**განსაკუთრებული მითითებები**  
არ არის რეკომენდირებული მკურნალობის კურსის გადაჭარბება. მკურნალობის დროს თავი უნდა შევიკავოთ კონტაქტური ლინზების გამოყენებისაგან. სხვა თვალის წვეთების გამოყენების შემთხვევაში დროის ინტერვალი მათი აპლიკაციის და მალამოს დატანებას შორის - არანაკლებ 15 წუთისა. 2 კვირაზე მეტი ხნის გამოყენებისას არ ანამნეზში ღია- და დახურულკუთხოვანი გლაუკომის არსებობისას აუცილებელია თვალშია წვევის კონტროლი. შესაძლებელია ჰიდროკორტიზონის გამოყენება ბავშვების სამკურნალო ექიმის დანიშნულებით, თუ მოსალოდნელი სამკურნალო ეფექტი აღემატება გვერდითი რეაქციების განვითარების რისკს. ბავშვებში აღინიშნება ჰიდროკორტიზონის სისტემური მოქმედების განვითარების უფრო მაღალი ალბათობა, ვიდრე მოზრდილებში. ამიტომ პრეპარატი ბავშვებში უნდა იქნას გამოყენებული ფრთხილად, და შეიძლება დაგვარად, მოკლე კურსით (5-7 დღე). დღის განმავლობაში გადაჭარბებულმა გამოყენებამ, სიმრმა გამოყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ჰიდროკორტიზონის შეწოვა და სისტემური მოქმედება. 1 წლამდე ასაკის ბავშვებში უკუნაჩვენებია პრეპარატის გამოყენება. **ზემოქმედება ავტორტრანსპორტის ტარების და მექანიზმების მართვის უნარზე**  
პრეპარატი არ ზღუდავს ფსიქოფიზიკურ აქტივობას, სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მოძრავი მექანიზმების მომსახურების უნარს. პეციენტებისათვის, რომლებსაც აპლიკაციის შემდეგ დროებით ეკარგებათ მხედველობის სიმახვილე, არ არის რეკომენდირებული მაშინათვე აპლიკაციის შემდეგ მანქანის ტარება ან რთულ ტექნიკასთან მუშაობა.

**ორსულობა ან ძუძუთი კვება**  
გამოყენება ორსულობის დროს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც თერაპიის მოსალოდნელი სარგებელი დიდისათვის აღემატება პოტენციურ რისკს ნაყოფისათვის. სიფრთხილით და ხანმოკლედ უნდა იქნას გამოყენებული ძუძუთი კვების დროს.

**სამკურნალო ურთიერთქმედება**  
სამკურნალო ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან პრაქტიკულად არ არსებობს.  
**გამოყენების ფორმა და შეფუთვა**  
3-3 გ ალუმინის ტუბში ხუფით სამედიცინო მალამოებისათვის. ტუბს მალამოთი და პრეპარატის გამოყენების ჩანართ-ფურცელთან ერთად ათავსებენ მუყაოს კოლოფში.

**შენახვის პირობები**  
ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ, გრილ და მშრალ ადგილას 5°-დან 15°C-მდე ტემპერატურაზე.

**ვარგისიანობის ვადა**  
2 წელი. ნუ გამოიყენებთ ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**გაცემის წესი:**  
ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III ჯგუფი, გაცემა რეცეპტის გარეშე

**მწარმოებელი**  
შპს "არამიდეი"  
სასომხეთის რესპუბლიკა, კოტაიკი მარზი, ქ. აბოვიანი, მე-2 მიკრორაიონი, სახლი 19  
ტელ.: 374 (222) 21703, 21740  
ფაქსი: 374 (222) 21924

